617-17-1-2-202001201804

N 17-1/617
20/01/2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სამოქალაქო განათლების საგანში გრიფმინიჭებული, IX-X კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი, „შპს. საქართველოს მაცნე“-ს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების შინაარსის შესაბამისობა ადამიანის ძირითად უფლებებთან.[1]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ **სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, ხელყოფს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სახელმძღვანელო პრინციპებს, ეწინააღმდეგება გრიფის მინიჭებისთვის დადგენილ წესს და ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.**

(ა) ფაქტობრივი გარემოებები

2011-2016 აკადემიური წლებისთვის მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, ზოგადი განათლების სისტემაში ადამიანის უფლებათა სწავლება საზოგადოებრივი

[1] მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. გონაშვილი მ. თოქმაზიშვილი მ. შალვლოხაშვილი დ. დალაქიშვილი რ. „სამოქალაქო განათლება IX კლასი“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი, 2012; ასევე, მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. „სამოქალაქო განათლება X კლასი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2012; სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 30 ოქტომბრის N13699/19 ოქმი.

მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი დისციპლინების მეშვეობით ხორციელდებოდა, რომელთა შორისაცაა სამოქალაქო განათლება.[2]

„სამოქალაქო განათლება“ ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესის ფუნდამენტური კომპონენტია, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შესაბამისი საგნობრივი პროგრამიდანაც ნათლად ჩანს.[3] ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არსებობისას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსით ისარგებლოს.[4]

„სამოქალაქო განათლების“ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებს გრიფი მიენიჭათ 2012 წლის 18 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.[5] მითითებული სახელმძღვანელოები არჩეული აქვს მე-9 კლასისთვის - 789 სკოლას, ხოლო მე-10 კლასისთვის - 861 სკოლას.[6]

სახელმძღვანელოების გრიფირებისას საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული ფორმები, დასკვნები, შემთანხმებელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ვერ იქნა მოძიებული შესაბამისი უწყებების საარქივო მასალებში.[7]

IX კლასის მოსწავლის წიგნში მოცემულია შემდეგი განმარტებები:

1. *„ვინ არ შეიძლება იყოს პიროვნება? ბავშვი, რომელსაც არ გააჩნია თვითცნობიერება (ვერ აცნობიერებს თავის ინდივიდუალობას) და ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი, რომელსაც დარღვეული აქვს ცნობიერება - იგი შეურაცხადად ითვლება. არც ერთი და არც მეორე პასუხს არ აგებს თავისი ქმედებისთვის“.*[8]
2. *„ჩვენს ქვეყანაში ოჯახის შექმნისთვის ასაკის დადგენილი ნორმები არ არსებობს, თუმცა ოფიციალურად ქორწინების ნებადართული ასაკი ქალისთვის, ისევე მამაკაცისთვის 18 წელია“.*[9]

---

[2] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 41-ე მუხლის პუნქტი 2, 2012 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით. ასევე, იხ. State Party Report Submitted by Georgia to the Committee on the Elimination of Racial Discrimination on July 2 2014, 32.

[3] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის ბრძანება N36/ნ თავი XXXV საგნობრივი პროგრამები საზოგადოებრივ მეცნიერებებში. გვ. 1076-1078, 2012 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით.

[4] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 2019 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით,

[5] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 18 მაისის N375 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის 25-ე პუნქტი.

[6] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 15 ნოემბრის MES51901562949 წერილი.

[7] იქვე.

[8] მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. გონაშვილი მ. თოქმაზიშვილი მ. შალვლოხაშვილი დ. დალაქიშვილი რ. „სამოქალაქო განათლება IX კლასი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2012 გვ. 33.

[9] იქვე, გვ. 91.

3. *„ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან: არიან ნიჭიერნი, უნიჭონი, მდიდრები და ღარიბები, მაღლები და დაბლები. თანასწორობა ადამიანის ერთმანეთისგან გარჩევის აკრძალვაა. ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს ყველა უფლებასა და თავისუფლებას ყოველგვარი განსხვავების გარეშე. თუმცა არსებობს სამართლებრივი აქტები, მაგალითად, უსინათლოებისთვის მართვის უფლების გაცემაზე უარის თქმა, მაგრამ ეს არ არის დისკრიმინაცია. უფლებათა თანასწორობა ნიშნავს ადამიანის დაუსაბუთებელი დიფერენციაციის აკრძალვას.”*[10]
4. *„სტრესულ სიტუაციაზე მოზარდების რეაგირება განსხვავებულია. ვაჟები აგრესიულები ხდებიან როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. განმუხტვას სტრესის უარყოფით, პრობლემების იგნორირებით, ფიზიკური აქტივობით ცდილობენ. გოგონების საქციელი საპირისპიროა, ისინი დახმარებისთვის მეგობრებს მიმართავენ.“*[11]

X კლასის მოსწავლის წიგნში მოცემულია შემდეგი განმარტებები:

1. *„ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან საქართველოში ჩამოვიდა მოქალაქე. შეუძლია თუ არა მას სახლისა და მიწის ნაკვეთის შეძენა იმავე წესებისა და კანონების მიხედვით, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია. უცხოელს სახლ-კარის შეძენისას უამრავი სპეციალური ფორმალობის დაცვა მოუწევს, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეს უძრავი ქონების შეძენა ბევრად უფრო გაუიოლდება. მიზეზი ისაა, რომ უცხოელს საქართველოს მოქალაქის უფლებაუნარიანობა არ გააჩნია“.*[12]
2. *„ზოგ შემთხვევაში (მაგ: სისხლის სამართალი) მოსამართლე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას“.*[13]
3. *„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს იგივე უფლებები აქვთ, რაც ჯანმრთელებს“*[14]*. „იცნობ თუ არა ადამიანს, რომელიც ვერ ხედავს ან არ ესმის ან ვერ ლაპარაკობს? როგორია მათი ცხოვრების წესი? როგორ რეაგირებენ მათ ნაკლზე გარშემომყოფები“.*[15]

(ბ) სამართლებრივი შეფასება

ზოგად განათლებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების ფუნდამენტური ნაწილია მოსწავლის ჩამოყალიბება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე **თავისუფალ პიროვნებად** და ამის მისაღწევად ყველა საჭირო პირობის შექმნა.[16] ამასთან,

---

[10] იქვე, გვ. 18.
[11] იქვე, გვ. 88.
[12] იქვე, გვ. 36.
[13] იქვე, გვ. 71.
[14] მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. „სამოქალაქო განათლება X კლასი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2012, გვ. 89.
[15] იქვე, გვ. 99.
[16] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი, 2019 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სკოლამ მოსწავლეებს **ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის** უნარი უნდა გამოუმუშაოს, რომელსაც იგი გამოიყენებს პრაქტიკაში, საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად.[17]

სამოქალაქო განათლების საგნის გრიფმინიჭებულ IX-კლასის სახელმძღვანელოში, ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **პირველი ჩანაწერი,** ბავშვებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს ერთმნიშვნელოვნად, პიროვნულობის არმქონე სუბიექტებად განიხილავს. ამ აღქმას აძლიერებს არამხოლოდ სიტყვასიტყვითი ანალიზი, ასევე საერთო კონტექსტი.

კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ იცავს ბავშვის პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაძლებლობას და ამ პროცესს, განათლების მიზნების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. [18] ბავშვის განათლების უფლების შინაარსობრივი კომპონენტი უდიდესი მნიშვნელობისაა. აღნიშნული გულისხმობს, მოსწავლისთვის ისეთი ინფორმაციისა და ღირებულებების მიწოდებას, რომელიც ერთი მხრივ, მოსწავლეს ჩამოუყალიბებს/განუვითარებს საკუთარი უფლებებით სრულფასოვნად სარგებლობის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ღირებულებათა გამყარებას.[19]

ბავშვის განათლების მიზნებს, რომელთა შორისაა ბავშვის პოტენციალის სრულფასოვანი განვითარება და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება, კონვენციის 29-ე მუხლი განამტკიცებს.[20] განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროცესი დაეყრდნოს ამ მუხლში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.[21] ტერმინი - **„საგანმანათლებლო პროცესი“, კონვენციის მიზნებისათვის მოიაზრებს არამხოლოდ განათლების ხელმისაწვდომობის ასპექტს, არამედ მის შინაარსს, ღირებულებებსა და პედაგოგიურ მეთოდებს,** რომლებიც ბავშვის გარშემო არსებულ სასწავლო გარემოს აყალიბებს.[22] ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით: *„კონვენციის ღირებულებებზე დაფუძნებული შინაარსი წარმოადგენს ყოველი ბავშვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს იმისთვის, რომ მან შეძლოს საკუთარი ცხოვრების დაბალანსებულად წარმართვა და თანამედროვე გამოწვევებს გაუმკლავდეს ადამიანს უფლებათა პრინციპების გათვალისწინებით“.*[23]

---

[17] „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილების „თ“ ქვეპუნქტი.

[18] კონვენცია ბავშის უფლებათა შესახებ, 29-ე მუხლი, მიღების თარიღი 20.11.1989, ძალაშია 07.07.1994.

[19] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, available at: https://bit.ly/35oDnM8 16/12/2019, პარაგრაფი 2.

[20] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, available at: https://bit.ly/35oDnM8 16/12/2019, პარაგრაფი 1.

[21] იქვე, პარაგრაფი 2.

[22] იქვე, პარაგრაფები 3-8.

[23] იქვე, პარაგრაფი 3.

ადამიანის ღირსებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის განათლების უფლების კონტექსტში.[24] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით: „[ბავშვის უფლებათა] *კონვენციაში არსებული განათლების მიზნები პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ღირსებისა და უფლებების რეალიზაციას".*[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ადამიანის ღირსებას სახელმწიფო უპირობოდ უნდა იცავდეს, მიუხედავად მასზე საზოგადოების შეხედულებისა, თუ თვითშეფასებისა, ამასთან „ადამიანს ღირსება გააჩნია იქიდან გამომდინარე, რომ ის ადამიანია...*ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება".*[26] ამასთან, საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება, რომ ღირსება ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი იმპერატივია, რომელიც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში თავისთავად ასახულია. [27]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადამიანის პიროვნულობა მჭიდრო კავშირშია მის ღირსებასთან. რაიმე ნიშნისა თუ ინდივიდუალური მახასიათებლის გამო, **ადამიანის პიროვნულობის უარყოფა მისი ღირსების შემლახავია.**

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებთან მიმართებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 8 ოქტომბერს მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით განმტკიცებულ [2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია] **არაჰუმანურ და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლების აბსოლუტურ შინაარსს.**[28] სასამართლომ, კონსტიტუციის ამ მუხლთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმის ის შინაარსი, რომელიც ექიმს ანიჭებდა ცალკეულ შემთხვევაში სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის უფლებების, მათ შორის, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან დაცვის უფლების

---

[24] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, available at: https://bit.ly/35oDnM8 16/12/2019, პარაგრაფი 1.

[25] იქვე.

[26] ტუღუში თ. ბურჯანაძე გ. მშვენიერაძე გ. გოცირიძე გ. მენაბდე ვ. „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა" თბილისი 2013 გვ. 86.

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე "დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ." პარ. 43. ამასთან დაკავშირებით ასევე, იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II.პ.3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II.პ.2.

[28]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", პარაგრაფი 186.

შეზღუდვის უფლებამოსილებას.[29] ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების პიროვნულობის არმქონეებად მოხსენიება ლახავს მათ ღირსებას.

ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **მეორე ჩანაწერი** დაკავშირებულია ქორწინების ასაკის განმარტებასთან, სადაც მითითებულია რომ *„ჩვენს ქვეყანაში ოჯახის შექმნისთვის ასაკის დადგენილი ნორმები არ არსებობს...“*.[30] ამ ციტატის როგორც კონტექსტური, ისე სიტყვასიტყვითი ანალიზით, ბუნდოვანია რას გულისხმობს ავტორი ქორწინებისთვის დადგენილ ნორმებში მაშინ, როდესაც საქორწინო ასაკს თავადვე მიუთითებს.[31] მსგავსი ჩანაწერის არსებობა სახელმძღვანელოში, კანონისმიერი მოთხოვნების გვერდის ავლით, ადრეულ ასაკში ქორწინების რისკს ზრდის.

ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **მესამე ჩანაწერი** ადამიანებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განასხვავებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მართალია, აღნიშნული ჩანაწერით ავტორი ცდილობს, რომ თანასწორობის არსი და დისკრიმინაციის აკრძალვა განმარტოს, თუმცა, იმთავითვე ახდენს ადამიანების კონკრეტული პიროვნული მახასიათებლით დაყოფას *„ნიჭიერებად და უნიჭოებად, მდიდრებად და ღარიბებად, მაღლებად და დაბლებად“*. მაგალითად, ადამიანების „ნიჭიერებად და უნიჭოებად“ დაყოფა მხოლოდ სუბიექტურ აღქმებს ეფუძნება და ამყარებს იმ სტერეოტიპებს ადამიანების გონებრივი შესაძლებლობების შესახებ. მსგავსი სტერეოტიპული მიდგომით, ადამიანები ქვეცნობიერად ახდენენ სხვადასხვა პიროვნული, პროფესიული, მატერიალური შესაძლებლობების, გარეგნული მახასიათებლის მქონე ინდივიდების დაყოფას. ავტორის მიერ შერჩეული გადმოცემის ფორმა, თანასწორობის პრინციპის შესახებ ღირებულებების გავრცელების ხელშეწყობის ნაცვლად, ამ პრინციპის არასწორ აღქმას აყალიბებს და განსხვავებულობის თაობაზე საზოგადოებაში სტერეოტიპულად ფესვგადგმულ, ბლანკეტურ ნორმებს უსვამს ხაზს.

ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **მეოთხე ჩანაწერი** განასხვავებს ვაჟებისა და გოგონების რეაგირებას სტრესულ სიტუაციაზე და სხვადასხვა სახის ქცევას უკავშირებს სქესს. სახალხო დამცველი თვლის, რომ ქართულ საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმულია ქალისა და მამაკაცის გენდერული როლების შესახებ სტერეოტიპები, რომელთა კვლავწარმოება გამუდმებით ხდება არასწორი შეხედულებებისა და ამა თუ იმ ქცევის, შესაძლებლობების, პროფესიის კონკრეტულ სქესზე მიკუთვნებით. ბუნებრივია, სტრესულ სიტუაციაზე რეაგირება მოზარდებში განსხვავებულია, თუმცა, ეს განპირობებულია იმით, რომ თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და განსხვავებული ემოციური მდგომარეობა აქვს. სტრესულ სიტუაციაზე რეაგირებისას

---

[29] იქვე.

[30] მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. „სამოქალაქო განათლება X კლასი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2012, გვ. 91.

[31] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებული 1997 წლის 27 ივნისს, 1108-ე მუხლის პირველი ნაწილი 2019 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით.

გამოხატულ ქცევას სქესი არ აქვს. იმის ფონზე, რომ დღესდღეობით, გენდერული თანასწორობის მიღწევა საქართველოში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მოხდეს გენდერული სტერეოტიპების გამყარება.

დამატებით უნდა შეფასდეს **X კლასის სახელმძღვანელოში**, ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **პირველი ჩანაწერი.**[32] ამ ციტატის შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი სახელმძღვანელოში ერთ-ერთი თემის დასაწყისშია განხილული და საკუთრების უფლებასთან უშუალო მიმართების მიღმა, მოიცავს ზოგად განმარტებებს. ამასთან, ხასიათდება უკიდურესად კატეგორიული შინაარსით.

აღსანიშნავია, რომ „უფლებაუნარიანობის წარმოშობა არ არის დამოკიდებული პირის ასაკზე, ჯანმრთელობაზე, ან სხვა რაიმე ხასიათის სამართლებრივ აქტზე.“[33]ამასთან, „უფლებაუნარიანობა განსხვავდება უფლებისაგან. უფლებაუნარიანობა ზოგადი კატეგორიაა, უფლება კი - კონკრეტული. უფლებაუნარიანობა გააჩნია ყველა ადამიანს, მაშინ როცა, უფლება მხოლოდ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთანაა დაკავშირებული და მხოლოდ მის მონაწილეს აქვს.“[34]

შესაფასებელ ციტატაში კატეგორიული შინაარსითაა გაცხადებული, რომ მასში დასმულ შეკითხვაზე **პასუხი „ერთმნიშვნელოვანი“ უნდა იყოს.** ამ კუთხით დამატებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით [საკუთრების უფლება, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით] უცხოელთათვის სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის შეძენაზე დადგენილი შემზღუდველი რეგულირება არაკონსტიტუციურად ცნო და დაადგინა:

„თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს გაგება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების სუბიექტის დასადგენად მოქალაქეობის ვიწრო კრიტერიუმის გამოყენებას. თანამედროვე სახელმწიფო ამ კონტექსტში ტერიტორიულ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება. აქედან გამომდინარე, ინდივიდის განხილვა საკუთრების უფლების სუბიექტად უკავშირდება იმ უბრალო ფაქტს, რომ იგი ადამიანია და არ არის დამოკიდებული მის მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე.“[35]

ამდენად, სახელმძღვანელოში, საკითხის ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება **უმეტესად ავტორისეულ შეხედულებას წარმოადგენს და არა ობიექტურ ფაქტს.** გარდა ამისა, მოსწავლეებს უზღუდავს საკუთრების უფლებასთან მიმართებით მსჯელობის,

---

[32] მეიფარიანი თ. მიქიაშვილი ლ. ჯალაღანია ი. „სამოქალაქო განათლება X კლასი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2012, გვ. 36.

[33] ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 24 დეკემბერი, 2017. იხ. https://bit.ly/2LKxNMq 16/12/2019.

[34] იქვე.

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე- “დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” პარაგრაფი. 43.

დისკუსიისა და კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობას. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ უფლებაუნარიანობის ნაწილში, ფრაზა არსებითად მცდარ დებულებას შეიცავს და მოსწავლეში ადამიანის უფლებათა სისტემის არასწორ აღქმას აყალიბებს.

ამავე სახელმძღვანელოში, ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **მეორე ჩანაწერი** სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში მეტწილად მცდარია. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის ნამდვილ საზრისსა და დანიშნულებას დაკარგავს, თუ მას ინსტიტუციური და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიის გარეშე განვიხილავთ.[36] ამასთან, უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოს გრიფირების მომენტისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უკვე არ ცნობდა ინკვიზიციურობის პრინციპს და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან პროცესის წარმართვას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე აფუძნებდა.[37] შესაბამისად, ციტატაში მოყვანილ *სიტყვებს, „მოსამართლე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას“* ვერც ამ საპროცესო პრინციპების კონტექსტში ავხსნით. ამდენად, სახალხო დამცველი თვლის, რომ ამ ტიპის ჩანაწერის არსებობა სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტის გათვალისწინებით იმდენად ბუნდოვანია, რომ მოსწავლეებში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ არასწორ აღქმას აყალიბებს.

ამავე სახელმძღვანელოში ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული **მესამე ჩანაწერი** განასხვავებს *„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ჯანმრთელებს“.* ამდენად, ავტორის შეზღუდულ შესაძლებლობას განმარტავს როგორც ნაკლს, ავადმყოფობას და არსებითად არასწორ ინფორმაციას აწვდის მოზარდ მკითხველს. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ წარმოაჩენს, როგორც რაიმე ნაკლის მქონე პირებს, არამედ მიუთითებს, რომ სწორედ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება ახდენს მათ გამოყოფას საზოგადოების იმ ნაწილისგან, რომელთან არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა.[38] დღესდღეობით, საერთაშორისო საზოგადოება მიზნად ისახავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გაგება მოხდეს არა სამედიცინო მოდელის ჭრილში, არამედ მისი სოციალური ასპექტის გათვალისწინებით.[39] *„ჯანმრთელებად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად“* ადამიანების დაყოფა კი ამყარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სტიგმას, უფრო დაუცველს ხდის მათ და მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

---

[36]Human Rights Committee (CCPR) General Comment 32 (2007), Article 14: Right to equality before courts and tribunals and to a fair trial, 23 August 2007, CCPR/C/GC/32. Available at: http://ccprcentre.org/ccpr-general-comments 17/12/2019 პარაგრაფი 19.

[37] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებული 2009 წლის 09 ოქტომბერს, 2012 წლის 27 მარტის მდგომარეობით, მუხლი 9.

[38] Degener Theresia "A human rights model of disability" 2014, p.4 Available at https://bit.ly/2NaIUyK 09/01/2020

[39] იქვე.

სახელმძღვანელოს ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით შეფასების შემდეგ, მნიშვნელოვანია მათი **გაანალიზება გრიფის მინიჭების წესისა და სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამის კონტექსტშიც.** „სამოქალაქო განათლების“, როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილ საგნობრივ პროგრამებში ხაზგასმულია, რომ საგნის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა დაეხმაროს მოსწავლეს, ადამიანის/ბავშვთა უფლებების მნიშვნელობის გააზრებაში, ამასთან, საგნის სწავლების შედეგად მან უნდა შეძლოს ამ უფლებათა დაცვისთვის კონკრეტული ქმედების განხორციელება.[40]

გრიფირების პროცესის არსი სწორედ ამ მიზნებთან საგნის სასკოლო სახელმძღვანელოს შესაბამისობის დადგენაა.[41] ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების გრიფირებისას მოქმედი წესის მიხედვით, გრიფის მინიჭებისთვის წარმოდგენილი სასწავლო ლიტერატურის შინაარსის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო ის, თუ რამდენად უწყობდა სახელმძღვანელო ხელს იმ ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებშია წარმოდგენილი.[42]

ამასთან ერთად, გრიფირების წესი კრძალავდა მოსწავლისთვის ავტორისეული დამოკიდებულებების თავს მოხვევას და ითვალისწინებდა მნიშვნელოვან დათქმას, რომლის მიხედვითაც, სახელმძღვანელო არ უნდა შეფასებულიყო, ან ეთიშებოდა გრიფირების პროცესს, თუ მისი შინაარსი, დიზაინი, ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავდა დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს.[43]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოთა გრიფირების მომენტისთვის, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო საკმარის გარანტიებს ითვალისწინებდა ადამიანის ძირითად უფლებებთან შეუსაბამო ტექსტების სახელმძღვანელოებში მოხვედრის პრევენციისთვის. მართალია, შესაფასებელი სახელმძღვანელოების გრიფირებისას შექმნილი წარმოების მასალები ვერ იქნა მოძიებული, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ლიტერატურის შინაარსის გათვალისწინებით, ნათელია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაუშვა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და

---

[40] ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის თავი XXXV საგნობრივი პროგრამები საზოგადოებრივ მეცნიერებებში, 2012 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით. გვ. 1076-1078.

[41] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის პირველი მუხლი. 2012 წლის 06 იანვრის მდგომარეობით [ძალადაკარგულია:16/02/2017].

[42] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1ᵃ მუხლი 1, პუნქტი 1.4. 2012 წლის 06 იანვრის მდგომარეობით, [ძალადაკარგულია:16/02/2017]; ასევე იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების 21-ე მუხლის მესამე პუნქტი, 2019 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით.

[43] იქვე, დანართი №1ᵃ-ს მუხლი 2, პუნქტი 2.14; ასევე იხ. დანართი N1-ის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

თავისუფლებების არსთან არსებითად შეუსაბამო ტექსტების მქონე სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭება. ვინაიდან ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოები დღემდე გამოიყენება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მნიშვნელოვნად ფერხდება არამხოლოდ საკუთრივ სამოქალაქო განათლების საგნის შედეგის მიღწევა, არამედ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სრულფასოვანი რეალიზებაც.

დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, ხელყოფს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სახელმძღვანელო პრინციპებს, ეწინააღმდეგება გრიფის მინიჭებისთვის დადგენილ წესს და ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ

რეკომენდაციით:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

- შეიმუშავოს ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისი განმარტებები და სკოლებს გადასცეს სათანადო ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, უზრუნველყოს მე-9 და მე-10 კლასებში სამოქალაქო განათლების შეუფერხებელი სწავლება.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული რეკომენდაცია და პასუხი მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.